DOI:10.52340/PUTK.2233-3541.2026.28.12

# თხილვანის მენჰირი: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარმართული ხანის მეგალითური კულტურა

**(კვლევა განხორციელდა ,,შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, GSDP-25-478, ,,აბუსერისძეთა სასახლე და საგვარეულო ეკლესია სოფელ თხილვანაში“)**

# THE TKHILVANI MENHIR: MEGALITHIC CULTURE OF THE PAGAN ERA IN SOUTHWEST GEORGIA

**(Research conducted with the support of the Shota Rustaveli Georgian National Science Foundation, GSDP-25-478, "The Palace and Family Church of the Abuserisdze Family in the Village of Tkhilvani")**

**Kakhaber Kamadadze**
Assistant Professor at Batumi Shota Rustaveli State University;
Batumi, Georgia
ORCID: 0009-0004-6886-2763
kakhaberkamadadze@yahoo.com
**+995 599 137966**

**Abstract.** This paper offers a comprehensive study of a unique monument of material culture located in the village of Tskhilvana, Khulo Municipality - a pagan-era cultic menhir. The research analyzes the monument's geographical context (Arsiani Ridge, 1440 m above sea level) alongside its archaeological and folklore significance. Based on its shape, the monument is interpreted as a phallic representation linked to fertility cults, where rituals were performed to connect with chthonic deities and ancestors. The paper explores the evolutionary stages of menhirs and their architectural transformation during the Christian era, driven by the Church's suppression of pagan cults. Particular attention is paid to local folklore memory, where this megalith, weighing over two tons, is connected to the Khikhani Fortress and the mythologized figure of Queen Tamar (including legends of her throwing the stone from the fortress during an invasion, or using it as a pulley system to transport supplies). Despite chronological challenges, this study demonstrates that the Tskhilvana menhir served not only as a religious landmark but also as a symbol of territorial sovereignty that underwent a fascinating ethno-cultural transformation over centuries.

**Keywords:** Tskhilvana, Menhir, Megalith, Queen Tamar, Khikhani Fortress, Folklore, Paganism

CC BY-ND 4.0



*Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541*
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

**კახაბერ ქამადაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი;
ბათუმი, საქართველო
ORCID: 0009-0004-6886-2763
kakhaberkamadadze@yahoo.com
**+995 599 137966**

**აბსტრაქტი.** წინამდებარე ნაშრომი ეხება ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანაში დაფიქსირებულ უნიკალურ მატერიალური კულტურის ძეგლს - წარმართული პერიოდის საკულტო მენჰირს. კვლევაში განხილულია ძეგლის გეოგრაფიული კონტექსტი (არსიანის ქედი, ზღვის დონიდან 1440 მ) და მისი არქეოლოგიურ-ფოლკლორული მნიშვნელობა. ფორმიდან გამომდინარე, ძეგლი მიჩნეულია ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ ფალოსის გამოსახულებად, რომლის გარშემოც ქტონურ ღვთაებებთან და წინაპრებთან კავშირის დასამყარებელი რიტუალები სრულდებოდა. ნაშრომში გაანალიზებულია მენჰირების ევოლუციის ეტაპები და მათი სახეცვლილება ქრისტიანულ ხანაში, რაც ეკლესიის მიერ წარმართულ კულტებთან ბრძოლის შედეგი იყო. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადგილობრივ მეხსიერებას, სადაც ეს 2 ტონაზე მეტი წონის მეგალითი ხიხანის ციხესა და თამარ მეფის მითოლოგიზებულ სახეს უკავშირდება (მტრის შემოსევისას ციხიდან გადმოსროლისა და სურსათის ასაზიდი საბაგირო სისტემის ლეგენდები). მიუხედავად ქრონოლოგიური ატრიბუციის სირთულისა, ნაშრომი აჩვენებს, რომ თხილვანის მენჰირი წარმოადგენდა არა მხოლოდ რელიგიურ ორიენტირს, არამედ ტერიტორიული სუვერენიტეტის სიმბოლოს, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში საინტერესო ეთნოკულტურული ტრანსფორმაცია განიცადეს.

**საკვანძო სიტყვები:** თხილვანა, მენჰირი, მეგალითი, თამარ მეფე, ხიხანის ციხე, ფოლკლორი, წარმართობა.

**შესავალი**. სოფელი თხილვანა მდებარეობს არსიანის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ხიხანისწყლის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1440 მეტრის სიმაღლეზე. იგი ხულოს მუნიციპალიტეტის ცენტრიდან - დაბა ხულოდან 45 კილომეტრითაა დაშორებული. დღეისათვის სოფელი ორ უბნად - ქვედა და ზედა თხილვანად იყოფა, რომელთა ბუნებრივ გამყოფსაც მათ შუაში ჩამომდინარე პატარა მდინარე, შუაწყალი წარმოადგენს. სოფლის ტერიტორიაზე კიდევ ორი ჰიდროგრაფიული ერთეულია: ჭაჭუნისწყალი, რომელიც სათავეს ხირხათის მთის ძირიდან იღებს და ზედა თხილვანის მარცხენა მხარეს ჩამოუვლის, და ბაკოსწყალი. ეს უკანასკნელი ასევე ხირხათის მთის კალთებიდან, ისტორიული ხიხანის ციხის


CC BY-ND 4.0
*Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541*
*Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026*

კლდოვანი ტერიტორიიდან მოედინება, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ჭაჭუნისწყლის პარალელურად მიედინება და ერთმანეთისაგან ჰყოფს სოფლებს - თხილვანასა და ბაკოს (თავისი „ავი ხასიათის“ გამო მას ადგილობრივები „ნაღვარევსაც“ უწოდებენ). სოფელთან კავშირშია კიდევ ერთი მდინარე - ქოჩახისწყალი; იგი სათავეს იღებს მთა ახალდაბიდან, არსიანის მთის კალთებიდან, და ერთმანეთისაგან ჰყოფს ბაკოსა და მთისუბანს. ოთხივე მდინარე თხილვანის სამხრეთ ნაწილში, შიგანაში, თავს იყრის ერთ დიდ კალაპოტში და კალოთისწყალთან ერთად ქმნის ხიხაძირისწყალს, რაც ისტორიულად სხალთისწყლის სახელწოდებითაა ცნობილი [დუმბაძე, მამულაძე, 1998: 15-16].

მკვლევართა აზრით, სოფლის სახელი - თხილვანა - დაკავშირებული უნდა იყოს თხილთან [კომახიძე, 2006: 88-89], რომელიც დღესაც ფართოდაა გავრცელებული დასახლების მიმდებარე ტყის მასივებში. თხილვანა მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე სოფელია; შუა საუკუნეებში იგი აჭარის ერისთავთ-ერისთავების - აბუსერისძეების სამკვიდრო მამულს წარმოადგენდა. სწორედ ამ სოფელში მდებარეობდა მათი სასახლე, კარის ეკლესია და საგრავარეულო საძვალე. სოფელს სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა არც მომდევნო ეპოქებში დაუკარგავს - მოგვიანებით, XIX საუკუნის მიწურულს, აქ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შთამომავლობა ცხოვრობდა.

დღეისათვის სოფლის ტერიტორიაზე მრავლად ფიქსირდება სხვადასხვა ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლი, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი წინაქრისტიანული ხანის საკულტო ძეგლს - მენჰირს უკავია. ეს მასშტაბური ქვის მონოლითი არა მხოლოდ საკულტო დანიშნულების, არამედ წარსულში მყარი გეოგრაფიული ორიენტირის ფუნქციასაც ასრულებდა.

ნაშრომის მიზანია სწორედ ამ ძეგლის კომპლექსური ანალიზი, მისი დანიშნულების, ტიპოლოგიისა და რეგიონის უძველესი რელიგიურ-სოციალური ცხოვრების კონტექსტში მისი ადგილის დადგენა. მიზნებიდან გამომდინარე უმთავრეს ამოცანად მიგვაჩნია თხილვანის მენჰირის არქიტექტურული და მორფოლოგიური პარამეტრების აღწერა; ძეგლთან დაკავშირებული ფოლკლორული მასალისა და ხალხური ლეგენდების (განსაკუთრებით თამარ მეფის კულტთან დაკავშირებული თქმულებების) კვლევა; მენჰირების წარმოშობის, ქრონოლოგიისა და ევოლუციის ზოგადი ტენდენციების გამოკვეთა სამხრეთ კავკასიის მასშტაბით; მეგალითური ძეგლის ფუნქციური ტრანსფორმაციისა და წარმართული (ფალოსური/ნაყოფიერების) კულტების გამოძახილების დადგენა ადგილობრივ ტრადიციებში.

კვლევის კომპლექსურმა ანალიზმა შემდეგი ძირითადი შედეგები გამოკვეთა: 1. ძეგლის ფალოსური ფორმა და მასთან დაკავშირებული ნაყოფიერების რიტუალები მიუთითებს მყარ რწმენა-წარმოდგენებზე, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მსოფლმხედველობას. 2. თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ხალხური ლეგენდები ნათლად აჩვენებს ძეგლის ფოლკლორულ ტრანსფორმაციას. გიგანტური ქვის დაკავშირება ხიხანის ციხესთან კულტურული ათვისების საინტერესო მაგალითია, სადაც ძველი

CC BY-ND 4.0

*Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541*
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

წარმართული ორიენტირი ახალ, მონუმენტურ ისტორიულ ნარატივში ჩაეწერა. 3. თხილვანის მენჰირი წარმოადგენს კავკასიური კულტურული იდენტობის, მითოპოეტური აზროვნებისა და რელიგიური სინკრეტიზმის თვალსაჩინო ნიმუშს.

აღნიშნული ძეგლის შემდგომი ინტერდისციპლინური შესწავლა მკაცრად აუცილებელია რეგიონის უძველესი ისტორიისა და სოციალური სტრუქტურების სრული რეკონსტრუქციისათვის.

**მსჯელობა**

მენჰირი წარმოადგენს ვერტიკალურად აღმართულ ქვის სვეტს, რომლის ზედაპირი ხშირად ხელოვნურადაა დამუშავებული. თავად ტერმინი ბრეტონული წარმოშობისაა და სიტყვასიტყვით „გრძელ ქვას“ ნიშნავს (ბრეტონული maen – ქვა და hir – გრძელი). ამგვარ მეგალითებს, როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური კულტურის მიმდევრები, განსაკუთრებულ, ზებუნებრივ ძალასა და სასწაულთმოქმედ ბუნებას მიაწერდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის მათი პირვანდელი დანიშნულების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, მენჰირები დღემდე ინარჩუნებენ კულტის ობიექტის სტატუსს. მონუმენტური მასშტაბებისა და გამორჩეული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მყარ ორიენტირადაც (სასაზღვრო/სანიშნე წერტილად) გამოიყენებოდნენ. საყურადღებოა, რომ სამხრეთ კავკასიის მთელ რიგ რეგიონებში ვერტიკალურად მდგარი ქვები საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა თაყვანისცემის საგნად [ნარიმანიშვილი..., 2020: 28-29].

საქართველოს ტერიტორიაზე მენჰირები პირველად XIX საუკუნის მიწურულს დაფიქსირდა. მენჰირები განსაკუთრებით მრავლად არის დადასტურებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, სოფელ მურჯახეთში აღმოჩენილმა ქვის ობელისკმა და სოფელ განძის მეგალითმა [ნარიმანიშვილი..., 2020: 32]. ამ ტიპის მონოლითები, უმეტეს შემთხვევაში გვხვდება გზებზე ან გზაგასაყარებზე [ნარიამნიშვილი, 2019: 32].

რაც შეეხება უშუალოდ თხილვანის მენჰირს (ტაბ.I/1-2). იგი ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრის საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობს და საკმაოდ მასშტაბურ ქვის მონოლითს წარმოადგენს. მისი სიმაღლე მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 2 მეტრს აღწევს, ხოლო მიწაში მისი სიღრმე 1,5 მეტრამდე გრძელდება. მეგალითის დიამეტრი 80 სმ-ია, ხოლო ქვის შუაგულში ამოკვეთილია სპეციალური პატარა თარო.


CC BY-ND 4.0
*Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541*
*Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026*



თხილვანის მენჰირის შესახებ ადგილობრივ მოსახლეობაში უამრავი მითი თუ ლეგენდაა შემორჩენილი, რომელთა უმრავლესობაც თამარ მეფის სახელს უკავშირდება. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ხიხანის ციხეში მყოფ თამარ მეფეს, რომელიც სტუმრების მოლოდინში კერძს ამზადებდა, ამ ქვით ფილაში სუნელი დაუნაყავს. სწორედ ამ დროს მას აცნობეს, რომ ციხეს მტერი შემოესია. აღელვებულ დედოფალს ეს ქვა ხიხანის ციხიდან გადმოუსროლია და იგი ზუსტად იმ ადგილზე ჩაჭედილა, სადაც დღეს მდებარეობს [კომახიძე, 2006: 121; ახვლედიანი, 1955: 61]. საგულისხმოა, რომ მენჰირის ამჟამინდელი ლოკაცია ხიხანის ციხიდან დაახლოებით 5-6 კილომეტრითაა დაშორებული, თავად მონოლითი კი 2 ტონაზე მეტს იწონის, რაც, ბუნებრივია, აღნიშნული ნარატივის ჰიპერბოლიზებულ, მითოსურ ხასიათზე მიუთითებს.



მეგალითთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, თამარ მეფეს ამ ქვაზე თოკი ჰქონია მობმული, რომლის მეორე ბოლოც ხიხანის ციხეზე იყო მიმაგრებული; ამგვარი ხალხური „საბაგირო სისტემით“

CC BY-ND 4.0



*Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541*
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

სოფელ თხილვანიდან ციხესიმაგრეში სურსათ-სანოვაგე და სხვადასხვა საჭირო ნივთები აჰქონდათ [კომახიძე, 2006: 121; ახვლედიანი, 1955: 62].

ამ და სხვა მსგავს ლეგენდებში მკაფიოდ აისახა საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა“ - პერიოდი, როდესაც ქვეყანა ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. თამარ მეფის კულტი ფართოდ აისახა სხვადასხვა მითოლოგიურ სიუჟეტში, რომლებიც აჭარის რეგიონში დღემდე აქტიურადაა შემორჩენილი. ზეპირსიტყვიერი გადმოცემების გარდა, ადგილობრივი მოსახლეობა დედოფლის სახელს მიაწერს და მისნაირადვე მოიხსენიებს შუა საუკუნეების საფორტიფიკაციო, საკულტო თუ საგზაო არქიტექტურას: ციხეებს, ხიდებსა თუ ტაძრებს (მაგ. „თამარის ციხე“, „თამარის ხიდი“, „თამარის ეკლესია“ და ა.შ.). რეგიონში ასევე მრავლადაა თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული ტოპონიმები, როგორებიცაა: „თამარ მეფის წყარო“, „დედოფლის მინდორი“ და სხვა.

მკვლევართა მოსაზრებით, თხილვანის მენჰირი წინაქრისტიანული ხანის საკულტო დანიშნულების ძეგლს უნდა წარმოადგენდეს. მონოლითის გარეგნული ფორმიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რომ იგი ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებულ ფალოსის გამოსახულებას წარმოადგენდეს. მსგავსი ტიპის წარმართულ ობიექტებს თავის დროზე ქრისტიანული ეკლესია აქტიურად ებრძოდა, რის გამოც მენჰირებმა ევოლუციისა და ფუნქციურ-არქიტექტურული სახეცვლილების რამდენიმე ეტაპი გაიარეს: თავდაპირველად მათ ბუნებრივი სახით იყენებდნენ, მოგვიანებით მათგან სვეტებს თლიდნენ, ხოლო ქრისტიანულ ეპოქაში ხშირად ჯვრებად, საფლავის ქვებად და სხვა საკულტო ატრიბუტებად ატრანსფორმირებდნენ [ახვლედიანი, 1955: 62].

მიუხედავად იმისა, რომ მეგალითები არაერთხელ გამხდარა მეცნიერული ინტერესის საგანი და მათ ნაწილზე გარკვეული არქეოლოგიური გათხრებიც ჩატარდა, მათი კონკრეტული არქეოლოგიური კულტურისათვის მიკუთვნება ან ზუსტი ქრონოლოგიური ატრიბუცია მაინც დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული [ნარიმანიშვილი..., 2020: 42]. მენჰირების აღმართვასა და გამოყენებას მკვლევრები სხვადასხვა ტომებს მიაწერენ. კერძოდ, მეცნიერთა ნაწილი მათი ფუნქციონირების ძირითად ხანად ადრეელინისტურ პერიოდს (ძვ.წ. IV-III სს.) ასახელებს, სხვები მათ რკინის ხანას უკავშირებენ, ნაწილი კი - ქრისტიანული ეპოქის საწყის ეტაპს [კომახიძე, 2006: 122].

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ მენჰირი ღვთაებრივი წინაპრის მატერიალურ გამოსახულებას წარმოადგენდა. ხშირ შემთხვევაში, ეს მონოლითები უშუალოდ წინაპრის სამარხზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე იდგმებოდა. ათასწლეულების განმავლობაში მეგალითების სიახლოვეს ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რიტუალები იმართებოდა [ნარიმანიშვილი..., 2020: 44] და, სავარაუდოდ, ანალოგიური საკულტო პრაქტიკა თხილვანის მენჰირის ტერიტორიაზეც სრულდებოდა. მკვლევართა აზრით, ამ ძველი მონუმენტების საშუალებით ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობდა, კავშირი დაემყარებინა საკუთარ წინაპრებსა და ძველ ქტონურ ღვთაებებ-


CC BY-ND 4.0
Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

თან. ამავდროულად, მენჰირის აღმართვა გარკვეულ ტერიტორიაზე თემის კანონიერი და სუვერენული უფლებების ხაზგასმას ემსახურებოდა. საგულისხმოა, რომ კავკასიის მთიელები დღემდე აღმართავენ წაგრძელებული ფორმის ქვებს, რომელთაც სხვადასხვა პრაქტიკული თუ სიმბოლური დანიშნულება აქვთ [ნარიმანიშვილი..., 2020: 44].

სამხრეთ კავკასიაში მენჰირები დღემდე ინარჩუნებენ კულტის ობიექტის სტატუსს. ადგილობრივი მოსახლეობის რწმენით, ეს მონოლითები წმინდა ქვებია, რომელთაც ნაყოფიერების, ჯანმრთელობისა და საყოველთაო კეთილდღეობის მოტანა შეუძლიათ. ამგვარ მეგალითებს გარკვეული სექსუალური სიმბოლიკაც გააჩნია, რაც კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე აისახა კიდეც. ძველ ქართულ მწერლობასა და ხალხურ ფოლკლორში დამუშავებულ ან ნაწილობრივ დამუშავებულ ვერტიკალურ ქვებს ხშირად სიმბოლური სახელწოდებებით მოიხსენიებენ, როგორებიცაა: „ქვაკაცი“, „ქალქვა“, „ქვათა რძალი“, „დევის ქვა“, აგრეთვე „ძუძუქვა“.

საგულისხმოა, რომ მურჯახეთის მენჰირს ქართველი მოსახლეობა „ძუძუქვას“ უწოდებს. ადგილობრივი რწმენით, ამ ქვაზე რელიეფურად ამოკვეთილია მამაკაცის ფალოსი, რომელსაც მეძუძური დედებისათვის რძის მოცემისა და მომატების სასწაულებრივ ძალას მიაწერდნენ; ამ მიზეზით, ქალები მას თაყვანს სცემდნენ, საკმეველს უკმევდნენ და ზედ ქონსა თუ ზეთს ცხებდნენ. სოფელ განძის მახლობლად, მინდორში აღმართულ მენჰირსაც - თხილვანის მენჰირის მსგავსად ისეთ რიტუალურ წესებს უკავშირებენ, რომლებიც აშკარად ფალოსის კულტის გამოძახილს წარმოადგენს.

მეცნიერთა აზრით, უძველეს საქართველოში მენჰირები მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფალოსის კულტთან. აღსანიშნავია, რომ ქვის ფალოსის თაყვანისცემის ტრადიცია უკანასკნელ დრომდე შემორჩა თუშეთის რეგიონშიც [ნარიმანიშვილი..., 2020: 49]. ზოგადად, საქართველოში მენჰირებს, როგორც საკრალურ ობიექტებს, ძირითადად შვილიერებას, ნაყოფიერებასა და ბავშვის ჯანმრთელობას სთხოვდნენ.

**დასკვნა.** ამრიგად, თხილვანის მენჰირის კომპლექსური ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წინაქრისტიანული საზოგადოების რელიგიურ-სოციალური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. ძეგლის ფალოსური ფორმა და მასთან დაკავშირებული ნაყოფიერების რიტუალები მიუთითებს მყარ ქტონურ რწმენა-წარმოდგენებზე, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის მსოფლმხედველობას. ნაშრომში განხილული ეთნოგრაფიული მასალა და თამარ მეფესთან დაკავშირებული ხალხური ლეგენდები - მიუხედავად მათი ისტორიული შეუსაბამობისა - უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ნათლად აჩვენებენ ძეგლის ფუნქციურ ტრანსფორმაციას ხალხურ მეხსიერებაში. გიგანტური ქვის დაკავშირება ხიხანის ციხესთან კულტურული ათვისების საინტერესო მაგალითია, სადაც ძველი წარმართული ორიენტირი ახალ, მონუმენტურ ისტორიულ ნარატივში ჩაეწე-

CC BY-ND 4.0

*Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541*
Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026

რა. თხილვანის მენჰირი კავკასიური კულტურული იდენტობის, მითოპოეტური აზროვნებისა და რელიგიური სინკრეტიზმის თვალსაჩინო ნიმუშია, რომლის შემდგომი ინტერდისციპლინური შესწავლა აუცილებელია რეგიონის უძველესი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


**ახვლედიანი,** 1955: - ახვლედიანი ხ., ხიხანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის// ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, 29-84, ბათუმი;

**დუმბაძე, მამულაძე,** 1998: დუმბაძე ს, მამულაძე ვ., ხიხანის საარწივოდან, ბათუმი;

**კომახიძე,** 2006: - კომახიძე თ., ხულოს რაიონი, წიგნი I, ბათუმი;

**ნარიმანიშვილი,** 2019: - ნარიმანიშვილი დ., საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები, თბილისი;

**ნარიმანიშვილი.**..,2020: - ნარიმანისვილი გ, შანსაშვილი ნ, ნარიმანიშვილი დ., საქართველოს მეგალითური კულტურის ძეგლები, თბილისი.


**References:**


**Akhvlediani, 1955:** — Akhvlediani Kh., On the History of Khikhani Fortress and Church // Monuments of Georgian Material Culture in Ajara, 29–84, Batumi;

**Dumbadze, Mamuladze, 1998**: Dumbadze S., Mamuladze V., From the Khikhani Archive, Batumi;

**Komakhidze, 2006:** Komakhidze T., Khulo District, Book I, Batumi;

**Narimanishvili, 2019:** Narimanishvili D., Cyclopean Fortresses of Georgia, Tbilisi;

**Narimanishvili, 2020:** Narimanisvili G, Shansashvili N, Narimanishvili D., Monuments of Megalithic Culture of Georgia, Tbilisi.




CC BY-ND 4.0

*Journal DOI: 10.52340/PUTK.2233-3541*
*Vol. DOI: 10.52340/PUTK.2233-3541.2026*